საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND NATURAL RESOURCES OF GEORGIA
საქართველო, 0114, გულუას ქნა, ტელ. 72 72 60

# ეკოლოგიური ექსპერტიზის

# დასკვნა პროექტზე

№ ___38___

__27____03____ 2009 წ.

## 1. საერთო მონაცემები

1. საქმიანობის დასახელება – 2900 $მ^3$ ტევადობის (24 000$მ^3$ წლიური ტვირთბრუნვით) ნავთობბაზა
2. საქმიანობის განმახორციელებლის დასახელება და მისამართი – შპს „ბუდა 95“, ქ. სამტრედია, ბაუსკას ქ. 10
3. განხორციელების ადგილი – ქ. სამტრედია, კაკაბაძის ქ. 10
4. განაცხადის შემოსვლის თარიღი – 04.03.09
5. მონაცემები პროექტის შემდგენელის შესახებ – შპს „წარმოების ეკოლოგია“

# II. ძირითადი საპროექტო გადაწყვეტილებანი

შპს „ბუდა 95"-ს მიერ ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე განსახილველად წარმოდგენილია 2900მ$^3$ ტევადობის (24 000მ$^3$ წლიური ტვირთბრუნვით) ნავთობბაზის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, რომელიც მომზადებულია შპს „წარმოების ეკოლოგიის" მიერ.

შპს „ბუდა 95"-ს ნავთობბაზა მდებარეობს ქ. სამტრედიაში, კაკაბაძის ქუჩა №10-ში, დასახლებული პუნქტიდან 25მ-ის დაშორებით.

ნავთობბაზა გათვალისწინებულია ნათელი ნავთობპროდუქტების მიღება-შენახვისა და გაცემა-რეალიზაცისათვის. ნავთობბაზის ტერიტორიაზე არსებობს ავტომანქანების შესასვლელი გზა, აგრეთვე რკინიგზის ჩიხი ვაგონცისტერნების მაღლა და დაბლა დამცლელი მოწყობილობებით. დაგეგმილი საქმიანობის მთელი ტერიტორიის ფართობია 0,9905ჰა. სარეზერვუარო პარკი მიწისზედა განლაგებისაა და შედგება 5 ვერტიკალური ცილინდრული რეზერვუარისაგან ჯამური მოცულობით 2 750მ$^3$ და სამი ჰორიზონტალური რეზერვუარისგან ჯამური მოცულობით 150მ$^3$. ისინი დადგმულია რკინაბეტონის საძირკვლებზე, მოშანდაკებული ზედაპირიდან 50სმ-ის სიმაღლეზე.

ბენზინისათვის გათვალისწინებულია 720მ$^3$, 710მ$^3$, 120მ$^3$ ტევადობის რეზერვუარები, ხოლო დიზელისათვის 1000მ$^3$, 200მ$^3$, 50მ$^3$ (სამი ცალი) ტევადობის რეზერვუარები.

ავტოგასამართი სადგურისათვის საწარმოს გააჩნია 6 მიწისქვეშა რეზერვუარი თითოეული 50მ$^3$ მოცულობის. ასევე ბაზას გააჩნია აუზი წყლის მარაგით.

დაგეგმილია 24 000მ$^3$ ნავთობპროდუქტების ტვირთბრუნვა წელიწადში, მათ შორის 12 000მ$^3$ ბენზინი და 12 000მ$^3$ დიზელის საწვავი.

რეზერვუარები, მილსადენები და მოწყობილობები იღებება კოროზიის საწინააღმდეგო საღებავით.

დაგეგმილი საქმიანობის უზრუნველყოფა ძირითადი სანედლეულე რესურსებით, ელექტრო ენერგიით, სათბობით, წყალსადენით, კავშირგაბმულობის საშუალებებით ხორციელდება ქ. სამტრედიის არსებული სამომხმარებლო ქსელიდან საპროექტო დოკუმენტაციით განსაზღვრული სქემების მიხედვით.

საწარმოს ფუნქციონირების მიერ გარემოზე ზემოქმედების ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენს საყოფაცხოვრებო, სამრეწველო და სანიაღვრე წყლების ჩაშვება. პროექტის მიხედვით მათი გაწმენდისათვის იგეგმება ნავთობპროდუქტებიანი წყლების გამწმენდი ნაგებობის დამონტაჟება. სანიაღვრე წყლები გაწმენდის შემდეგ ჩაედინება მდ. რიონში საწარმოს სიახლოვეს გამავალი არხის საშუალებით, რომელიც ჩაშვების წერტილიდან დაშორებულია 2 კმ-ის მანძილით. საწარმოში მოწყობილია ორადგილიანი ამოსაწმენდი

ორმო, რომელიც პერიოდულად იწმინდება საასენიზაციო მანქანით. სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის წყლის აღება ხდება ქ. სამტრედიის კომუნალური წყალსადენიდან შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე

საწარმოო ობიექტზე მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო და საწარმოო ნარჩენების წარმოქმნა. საყოფაცხოვრებო ნარჩენები განთავსდება საწარმოს ტერიტორიაზე დადგმულ კონტეინერებში და ხელშეკრულების საფუძველზე გატანილი იქნება კომუნალური დასუფთავების სამსახურის მიერ. ნავთობდამჭერიდან წარმოქმნილი ნარჩენის განთავსება დაგეგმილია შუალედურ რეზერვუარებში, ხოლო შემდგომ დიზელის რეზერვუარში რეალიზაციისთვის. ტრანსფორმატორში გამოცვლილი ნამუშევარი და საწარმოს კუთვნილი ავტოტრანსპორტის და მომუშავე ტექნიკის ზეთები, პროექტის მიხედვით გადაეცემა გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მქონე შესაბამის ორგანიზაციას.

საწარმოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის გათვალისწინებულია ხანძარსაწინააღმდეგო, წყალმომარაგების და ელექტრომომარაგების უსაფრთხოების საერთო დანიშნულების ღონისძიებები. ატმოსფერული ელექტრული მოვლენებისაგან აგრეთვე სტატიკური დენებისაგან დაცვის მიზნით საწარმოო ობიექტზე გათვალისწინებულია შესაბამისი ლითონის მეხამრიდებისა და ხელოვნული დამიწების კონტურის დამონტაჟება. ხანძარსაწინააღმდეგო მეურნეობაში შედის: ქაფწარმომქმნელი სითხის ავზები (სამმაგი მარაგის შესანახი). საწარმოს ტერიტორიაზე და სარეზერვუარო პარკის გასწვრივ გათვალისწინებულია ტექნიკური წყლის ხანძარსაწინააღმდეგო რგოლური ქსელის მოწყობა სპეციალური ჰიდრანტებით. ტერიტორიაზე ასევე გათვალისწინებულია 5 ხანძარსაწინააღმდეგო სტენდის მოწყობა.

წარმოდგენილ დოკუმენტში განხილულია სამტრედიის რაიონის ჰიდრომეტეოროლოგიური და კლიმატური, აგრეთვე გეოლოგიური და სეისმური პირობები. მოცემულია ბუნებრივი და სოციალური გარემოს კომპონენტების საერთო დახასიათება, მათ შორის ატმოსფერული ჰაერის და წყლის ობიექტების დაბინძურების, რადიაციული ფონის, კლიმატის, ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება, ტემპერატურული და ქარის რეჟიმები, ხმაური, ულტრაბგერები. მოყვანილია საწარმოს ფუნქციონირებისას გარემოზე ზემოქმედების ფაქტორები, მოსალოდნელი ემისიები, მათი სახეობები და ჩატარებულია მათი პარამეტრების გათვლები.

ექსპერტიზის პროცესში გამოთქმული შენიშვნები საფუძვლად უდევს წინამდებარე დასკვნის III თავს.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND NATURAL RESOURCES OF GEORGIA
204861943

# III. პირობები

1. საწარმოს ექსპლოატაციაში გაშვებამდე დამუშავდეს საწარმოს მონიტორინგისა (თვითმონიტორინგის) და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების კონკრეტული გეგმები, რომელიც უნდა შეთანხმდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან;
2. რეზერვუარები აღჭურვილი იქნას გაფრქვევის შესამცირებელი საშუალებებით;
3. გატარდეს მოსახლეობის ხმაურისაგან დაცვის კონკრეტული ღონისძიებები;
4. მომსახურე პერსონალი უნდა აღიჭურვოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით;
5. დამონტაჟდეს წყალშემკრები სისტემა და წყლის გამწმენდი ნაგებობა;
6. მოხდეს საწარმოს მიმდებარე ტერიტორიის გამწვანება;
7. საწვავის გაცემის ადგილები დაიფაროს ბეტონის საფარით;
8. დამონტაჟდეს ნავთობპროდუქტების დაღვრისა და გადავსების საწინააღმდეგო ავტომატური სისტემები;
9. შესრულდეს ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებული დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმატივები;
10. საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ 6 თვის ვადაში დამუშავდეს და შეთანხმდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან ნარჩენების მართვის გეგმა, სადაც დეტალურად იქნება განხილული საქმიანობის დროს წარმოქმნილი ყველა ტიპის ნარჩენების სრული რაოდენობრივ-თვისობრივი დახასიათება, ასევე მოცემული იქნას ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, განთავსების და გადამუშავების შესახებ ზუსტი ინფორმაცია, აგრეთვე ყველა ის რისკ-ფაქტორები რაც დაკავშირებულია ნარჩენების მართვასთან;
11. ობიექტი უზრუნველყოფილი იქნეს ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით;
12. შ.პ.ს „ბუდა 95“-ს ხელმძღვანელობა ვალდებულია შეასრულოს ყველა ის პირობა, რომელიც წარმოდგენილია გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის პირველადი რეკომენდაციებისა და დასკვნების თავში.

# IV. დასკვნა

შპს „ბუდა 95“-ს მიერ წარმოდგენილი „2900მ³ ტევადობის (24 000მ³ წლიური ტვირთბრუნვით) ნავთობბაზის“ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მიხედვით საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია წინამდებარე დასკვნის III თავში მოყვანილი პირობების გათვალისწინების შემთხვევაში.

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაიცეს განუსაზღვრელი ვადით.

ლიცენზიებისა და ნებართვების
სამსახურის უფროსი

ნიკოლოზ ჭახნაკია
(სახელი, გვარი)

(ხელმოწერა)

საქართველოს გარემოს დაცვისა
და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

## გარემოზე ზემოქმედების ნებართვა № 00204

კოდი M D 1 „ 08 " „ 04 " 2009 წ.

| | |
|---|---|
| 1. ნებართვის მიმღები სუბიექტი | შპს „ზოდი 95" |
| 2. საქმიანობის მიზანი | 29000მ³ ტევადობის (24 000 მ³ წლიური ტვირთბრუნვით) ნავთობბაზა |
| 3. განსახორციელებელი საქმიანობის ადგილმდებარეობა | ქ. სამტრედია, კაკაბაძის ქ. №10 |
| 4. დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია | შპს „წარმოების ეკოლოგია" |
| 5. ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია | გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში |
| 6. ნებართვის გაცემის საფუძველი | ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა პროექტზე № 38; 27.03.09 |
| 7. ნებართვის პირობები | ნებართვა მოქმედებს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწ. პირობების შესრ. პირობით |

ნებრივი

04 2009 წ.

ს შესახებ

მუხლის, მე-4
ს კანონის მე-4

მ³ ტევადობის (24

იზის დასკვნით

ი (ქ. თბილისი,

ცენზიებისა და
ენებითი ბარათი.

გიორგი ხაჩიძე
მინისტრი

ეგზავნება: ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურს, ნებართვის მიმღებ სუბიექტს, გარემოს დაცვის ინსპექციას

# საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №ი-203

ქ. თბილისი „08“ 04 2009 წ.

### შპს „ბუდა 95“-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის, მე-4 პუნქტისა და „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს შპს „ბუდა 95“-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვა – 2900მ$^3$ ტევადობის (24 000მ$^3$ წლიური ტვირთბრუნვით) ნავთობბაზის საქმიანობაზე;
2. ნებართვის მფლობელმა უზრუნველყოს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება;
3. ნებართვა გაიცეს განუსაზღვრელი ვადით;
4. ეს ბრძანება დაუყონებლივ გაეგზავნოს ნებართვის მფლობელს;
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქუჩა №7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

*საფუძველი:* ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №38; 27.03.09წ. და ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურის უფროსის ნიკოლოზ ჭახნაკიას მოხსენებითი ბარათი.

გიორგი ხაჩიძე
მინისტრი

ეგზავნება: ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურს, ნებართვის მძიებ სუბიექტს, გარემოს დაცვის ინსპექციას

## საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

### გარემოზე ზემოქმედების ნებართვა N000086

კოდი M 0 1 "........" "............" 20... წ.

1. ნებართვის მიმღები სუბიექტი შპს „მაგნატი 2006"

2. საქმიანობის მიზანი 29000მ³ ტევადობის (24000მ³ წლიური ბრუნვით) ნავთობბაზის საქმიანობა

3. განსახორციელებელი საქმიანობის ადგილმდებარეობა ქ. სამტრედია კაკაბაძის ქ N10

4. დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია შპს „წარმოების ეკოლოგია"

5. ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში

6. ნებართვის გაცემის საფუძველი ეკოლ. ექსპერტიზის დასკვნა პროექტზე N38. 27.03.09წ

7. ნებართვის პირობები ნებართვა მოქმედებს ეკოლ. ექსპერტიზის დასკვნის პირობების შესრულების შემთხვევაში.

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემულია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს უფლებამოსილი წარმომადგენელი (გვარი, სახელი, თანამდებობა)

ლიცენზიების და ნებართვების სამსახურის უფროსი

ნიკოლოზ ჯახნელია

ბ.ა.

დამკვეთი: საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო; დამამზადებელი: შპს „კაბადონი +"
სფს-ს რეგისტრაციის N 10-2419

## საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №Ո-66

ქ. თბილისი „09" 02 2011 წ.

შპს „მაგნატი 2006"-ზე გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობის გაცემის შესახებ

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ი" ქვეპუნქტის შესაბამისად და იმის გათვალისწინებით, რომ განცხადებით მოგვმართა შ.პ.ს „მაგნატი 2006"-მა როგორც შპს. „ბუდა 95"-ის უფლებამონაცვლემ

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს შპს „მაგნატი 2006"-ზე გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობა – ქ. სამტრედიაში კაკაბაძის ქუჩა 10-ში. 2900მ$^3$ ტევადობის (24000მ$^3$ წლიური ტვირთბრუნვით) ნავთობბაზის საქმიანობაზე.
2. ნებართვის მოქმედების ვადა – უვადო
3. ნებართვის მფლობელმა უზრუნველყოს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის 27.03.2009 წლის №38 დასკვნით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება;
4. ეს ბრძანება დაუყონებლივ გაეგზავნოს ნებართვის მფლობელს

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ.№ 7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №38, 27.03.2009 წელი და ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურის უფროსის ნიკოლოზ ჭახნაკიას მოხსენებითი ბარათი.

გიორგი ხაჩიძე
მინისტრი

ეგზავნება: ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურს, გარემოს დაცვის ინსპექციას, ნებართვის მიმღებ სუბიექტს.

საქართველოს გარემოს დაცვისა
და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა N 000060

კოდი M D L "14" "03" 2011წ.

1. ნებართვის მიმღები სუბიექტი ს.ს. „ნავთობპროდუქტების სადისტრიბუციო კომპანია"

2. საქმიანობის მიზანი ნავთობპროდუქტების საცავის განთავსება (7510 მ³ ტევადობის 6500 ტ წლიური ტვირთბრუნვით)

3. განსახორციელებელი საქმიანობის ადგილმდებარეობა ქ. თბილისი წყალსადენის ქ N11

4. დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია შპს „ეკოცენტრი"

5. ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში

6. ნებართვის გაცემის საფუძველი ეკოლ. ექსპერტიზის დასკვნა პროექტზე N20 17.04.2008

7. ნებართვის პირობები ნებართვა მოქმედებს ეკოლ. ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების შესრულების შემთხვევაში.

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემულია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და
ბუნებრივი რესურსების სამინისტროს
უფლებამოსილი წარმომადგენელი
(გვარი, სახელი, თანამდებობა)

ლიცენზიების და ნებართვების
სამსახურის უფროსი

[illegible]

ბ.ა.

დამკვეთი: საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო; დამამზადებელი: შპს „კაბადონი +"
სფს-ს რეგისტრაციის N 10-2419

ქ. თოლუსამ - ფოლ შპს 2006
ლიცენზია № 00145 ?
ბრძ - №-338
04.04.2008 წ

# საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №1-108

ქ. თბილისი "02" 03 2011წ.

### შ.პ.ს „მაგნატი 2006"-ზე გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის ს.ს „ნავთობპროდუქტების სადისტრიბუციო კორპორაცია"-ზე გადაცემის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ე" ქვეპუნქტისა და „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის" შესახებ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის საფუძველზე, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს განცხადებით მომართეს შ.პ.ს „მაგნატი 2006"-მა რომელმაც ითხოვა მასზე გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის №000087 ს.ს „ნავთობპროდუქტების სადისტრიბუციო კორპორაცია"-ზე გადაცემა და ს.ს „ნავთობპროდუქტების სადისტრიბუციო კორპორაცია"-მ რომელმაც ითხოვა ამ ნებართვის მიღება

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შ.პ.ს „მაგნატი 2006"-ზე გაცემული №000087 გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გადაეცეს ს.ს „ნავთობპროდუქტების სადისტრიბუციო კორპორაცია"-ს.
2. ნებართვის მფლობელმა უზრუნველყოს ეკოლოგიური ექსპერტიზის 2008 წლის 17 აპრილის №20 დასკვნით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება.
3. დაევალოს სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურს უზრუნველყოს უწყებრივ სანებართვო რეესტრში ცვლილებების შეტანა და სანებართვო მოწმობის გაცემა ამ ბრძანების პირველი პუნქტის შესაბამისად.
4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შ.პ.ს „მაგნატი 2006"-ს და ს.ს „ნავთობპროდუქტების სადისტრიბუციო კორპორაცია"-ს.

5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2011 წლის 9 თებერვლის №ი-68 ბრძანება.
6. დაევალოს შ.პ.ს „მაგნატი 2006"-ს უზრუნველყოს მასზე გაცემული №000087 გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობის დაბრუნება სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურისათვის.
7. ბრძანება ძალაში შევიდეს შ.პ.ს „მაგნატი 2006"-სა და ს.ს „ნავთობპროდუქტების სადისტრიბუციო კორპორაცია"-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.
8. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში, საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. №7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: შ.პ.ს „მაგნატი 2006"-სა და ს.ს „ნავთობპროდუქტების სადისტრიბუციო კორპორაცია"-ს დირექტორების ერთობლივი განცხადება,, მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულება „ნებართვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ" და ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურის უფროსის ნიკოლოზ ჭახნაკიას მოხსენებითი ბარათი.

გიორგი ხაჩიძე
მინისტრი

ეგზავნება: ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურს, გარემოს დაცვის ინსპექციას შ.პ.ს „მაგნატი 2006"-სა და ს.ს „ნავთობპროდუქტების სადისტრიბუციო კორპორაცია"-ს.

№-07
23.03.2011

17.03.2011 წელი

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი
რესურსების მინისტრს ბატონ გიორგი ხაჩიძეს

შპს სან ოილ ჯორჯიას "Sun Oil Georgia" დირექტორის იანივ ადამის და
სს "ნავთობპროდუქტების
სადისტრიბუციო კორპორაციის გენერალური დირექტორის
გიორგი ასლანიკაშვილის ერთობლივი

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გაცნობებთ, რომ 2011 წლის 25 თებერვალს სს "ნავთობპროდუქტების სადისტრიბუციო კორპორაცია"-ს და შპს სან ოილ ჯორჯიას "Sun Oil Georgia" შორის გაფორმებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების თანახმად, შპს სან ოილ ჯორჯიას "Sun Oil Georgia"-ს საკუთრებაში დარეგისტრირდა ნავთობბაზები მდებარე:

1. ქ. თბილისში, წყალსადენის ქ. №11, მიწის დაზუსტებული ფართი: 6785 კვ.მ, მიწის უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 01.11.04.029.046.

2. ქარელის რაიონი, დაბა აგარა, ხრეშის ქარხნის ტერიტორია, მიწის ნაკვეთი ფართით: 20 000 კვ.მ, მიწის უძრავი ქონების სარეგისტრაციო კოდი: 68.06.48.062 ).

3. ქ. სამტრედიაში, კაკაბაძის ქ. №10 მდებარე ნავთობბაზა (მიწის ფართი: 9905 კვ.მ, მიწის უძრავი ქონების სარეგისტრაციო ნომერისაკადასტრო კოდი: 34.08.71.020 ).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ 2011 წლის 14 მარტს, სს "ნავთობპროდუქტების სადისტრიბუციო კორპორაციაზე" გაცემული გარემოზე ზემოქმედების №000060, №000090, №000091 ნებართვები გადაფორმდეს შპს სან ოილ ჯორჯიას "Sun Oil Georgia" სახელზე, რაზეც ვთანხმდებით მხარეები და ვადასტურებთ ხელმოწერით.

იხილეთ დანართი:

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 3 (სამი) ცალი;
2. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან 2(ორი) ცალი;
3. ნებართვები 3(სამი) ცალი;
4. მინისტრიეს ბრძანებები 3 (სამი) ცალი.
5. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება.

შპს სან ოილ ჯორჯიას "Sun Oil Georgia" დირექტორი იანივ ადამი

სან ოილ ჯორჯია Sun Oil Georgia LTD SUN OIL GEORGIA 404391135

სს "ნავთობპროდუქტების
სადისტრიბუციო კორპორაციის გენერალური დირექტორი
გიორგი ასლანიკაშვილი

ნავთობპროდუქტების სადისტრიბუციო კორპორაცია JSC "OIL PRODUCTS DISTRIBUTION CORPORATION" 202272445

საქართველოს
გარემოს დაცვისა და
ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
№ 20
"21" 03 2011წ.

# საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №ი-13

ქ. თბილისი „29" 03 2011წ.

### ს.ს „ნავთობპროდუქტების სადისტრიბუციო კორპორაცია"-ზე გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შ.პ.ს სან ოილ ჯორჯია **"Sun Oil Georgia"**-ზე გადაცემის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ე" ქვეპუნქტისა და „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის" შესახებ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის საფუძველზე, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს განცხადებით მომართეს ს.ს „ნავთობპროდუქტების სადისტრიბუციო კორპორაცია"-მ რომელმაც ითხოვა მასზე გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის №000090 შ.პ.ს სან ოილ ჯოჯია **"Sun Oil Georgia"**-ზე გადაცემა და შ.პ.ს. სან ოილ ჯორჯია **"Sun Oil Georgia"**-მ რომელმაც ითხოვა ამ ნებართვის მიღება

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ს.ს „ნავთობპროდუქტების სადისტრიბუციო კორპორაცია"-ზე გაცემული №000090 გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გადაეცეს შ.პ.ს სან ოილ ჯორჯია **"Sun Oil Georgia"**-ს.
2. ნებართვის მფლობელმა უზრუნველყოს ეკოლოგიური ექსპერტიზის 2009 წლის 27 მარტის №38 დასკვნით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება.
3. დაევალოს სამინისტროს ნებართვების სამსახურს უზრუნველყოს უწყებრივ სანებართვო რეესტრში ცვლილებების შეტანა და სანებართვო მოწმობის გაცემა ამ ბრძანების პირველი პუნქტის შესაბამისად.
4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს ს.ს „ნავთობპროდუქტების სადისტრიბუციო კორპორაცია"-სა და შ.პ.ს სან ოილ ჯორჯია **"Sun Oil Georgia"**-ს.
5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2011 წლის 2 მარტის №ი-107 ბრძანება.

6. დაევალოს ს.ს „ნავთობპროდუქტების სადისტრიბუციო კორპორაცია"-ს უზრუნველყოს მასზე გაცემული №000090 გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობის დაბრუნება სამინისტროს ნებართვების სამსახურისათვის.
7. ბრძანება ძალაში შევიდეს ს.ს „ნავთობპროდუქტების სადისტრიბუციო კორპორაცია"-სა და შ.პ.ს სან ოილ ჯორჯია "**Sun Oil Georgia**"-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.
8. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში, საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. №7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: ს.ს „ნავთობპროდუქტების სადისტრიბუციო კორპორაცია"-ს და შ.პ.ს სან ოილ ჯორჯია "**Sun Oil Georgia**"-ს დირექტორების ერთობლივი განცხადება,, მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულება „ნებართვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ" და ნებართვების სამსახურის უფროსის ნიკოლოზ ჭახნაკიას მოხსენებითი ბარათი.

გიორგი ხაჩიძე

მინისტრი

ეგზავნება: ნებართვების სამსახურს, საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება „გარემოს დაცვის ინსპექცია"-ს, ს.ს „ნავთობპროდუქტების სადისტრიბუციო კორპორაცია"-სა და შ.პ.ს სან ოილ ჯორჯია "**Sun Oil Georgia**"-ს.

საქართველოს გარემოს დაცვისა
და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა N 000097

კოდი M D 1 "29" "03" "2011წ.

1. ნებართვის მიმღები სუბიექტი შპს. სან ოილ ჯორჯია "Sun Oil Georgia"

2. საქმიანობის მიზანი 29 000მ³ ტევადობის (24 000მ³ წლიური ტვირთბრუნვით) ნავთობბაზის საქმიანობა

3. განსახორციელებელი საქმიანობის ადგილმდებარეობა ქ. სამტრედია, კაკაბაძის ქ. №10

4. დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია შპს „ნარმოების ეკოლოგია"

5. ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში

6. ნებართვის გაცემის საფუძველი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა პროექტზე № 38; 27. 03. 2009წ.

7. ნებართვის პირობები ნებართვა მოქმედებს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების შესრულების შემთხვევაში

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემულია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს უფლებამოსილი წარმომადგენელი (გვარი, სახელი, თანამდებობა)

ნებართვების სამსახურის უფროსი

ნიკოლოზ ჟანნაკია

ბ.ა.

დამკვეთი: საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო; დამამზადებელი: შპს „კაბადონი +"
სწავ. რეგისტრაციის N 10-2419

N 000097

Sun Petroleum Georgia LLC
Official Distributor of Gulf Oil International in Georgia
34 Chavchavadze Ave. Tbilisi 0179 Georgia
Tel: +995 322 49 64 44 Fax: +995 322 49 64 40

Gulf

სან პეტროლიუმ ჯორჯია
გალფ ოილ ინტერნეიშენალ ოფისიალური დისტრიბუტორი საქართველოში
საქართველო, თბილისი 0179, ჭავჭავაძის ქ. 34
ტელ: +995 322 49 64 44 ფაქსი: +99 322 49 64 40

1/530
27.06.13

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის

სამინისტროს

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„სან პეტროლიუმ ჯორჯიას" დირექტორის ბ-ნ იანივ ადამის

განცხადება

მოგახსენებთ, რომ საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2011 წლის 29 მარტის #ი-13 ბრძანების თანახმად მოხდა სს „ნავთობპროდუქტების სადისტრიბუციო კორპორაცია"-ზე გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის #000097 გადაცემა შ.პ.ს. „სან ოილ ჯორჯია"-ზე.

შ.პ.ს „სან ოილ ჯორჯიას"-ს დამფუძნებელ პარტნიორთა რიგგარეშე კრების ოქმის #2011/03/01 თანახმად მოხდა საფირმო სახელწოდების შეცვლა შემდეგი სახელწოდებით: შ.პ.ს „სან პეტროლიუმ ჯორჯია". აღნიშნული ცვლილება რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ აღნიშნული გარემოება და შეიტანოთ შესაბამისი ცვლილება თქვენს მიერ გაცემულ #000097 გარემოზე ზემოქმედების ნებართვაში.

პატივისცემით:

იანივ ადამი

დირექტორი

საქართველოს
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების
დაცვის სამინისტრო
№ 1910
„27" 06 2013 წ

577 10 80 28

577 19 21 21

## საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

*060118757134413*

KA060118757134413

### ბრძანება No-94

ქ. თბილისი 04 / ივლისი / 2013 წ.

**შპს ,,სან პეტროლიუმ ჯორჯიაზე“ გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობის გაცემის შესახებ“**

,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 25–ე მუხლის მე–15 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78–ე მუხლის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს შპს ,,სან პეტროლიუმ ჯორჯიაზე'' გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობა 29 000 $მ^3$ ტევადობის (24 000 $მ^3$ წლიური ტვირთბრუნვით) ნავთობბაზის საქმიანობაზე.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს სს ,,სან ოილ ჯორჯია Sun Oil Georgia”-ზე 2011 წლის 29 მარტს გაცემული გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობა №00097;
3. დაევალოს სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტს გარემოზე ზემოქმედების ნებართვის უწყებრივი სანებართვო რეგისტრაციის ჟურნალში შესაბამისი ცვლილების განხორციელება;
4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს ,,სან პეტროლიუმ ჯორჯიას“;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს ,,სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში, საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქ. №7), მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის უფროსის თამარ შარაშიძის მოხსენებითი ბარათი; შპს ,,სან პეტროლიუმ ჯორჯიას (№ 1/530; 27.06.2013წ) წერილი.

მინისტრი ხათუნა გოგალაძე

## საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

### გარემოზე ზემოქმედების ნებართვა N 000005

კოდი M D 1 „04" „ივლისი" 2013 წ

1. ნებართვის მიმღები სუბიექტი — *შ.პ.ს „სან პეტროლიუმ ჯორჯია"*

2. საქმიანობის მიზანი — *29 000 მ³ ტევადობის (24 000მ³ წლიური ტვირთბრუნვით) ნავთობბაზის საქმიანობა*

3. ადგილი (ადგილმდებარეობა), სადაც უნდა განხორციელდეს საქმიანობა — *ქ. სამტრედია კაკაბაძის ქ#10*

4. დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია — *შპს „წარმოების ეკოლოგია"*

5. ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია — *გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში*

6. ნებართვის გაცემის საფუძველი — *ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №38 27.03.2009*

7. ნებართვის პირობები — *ნებართვა მოქმედებს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების შესრულების შემთხვევაში*

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს
უფლებამოსილი წარმომადგენელი
(გვარი, სახელი, თანამდებობა)

*გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი*
*თამარ შარაშიძე*

ბ.ა. ____________

დამქვეითი: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო